განმარტებითი ბარათი

„საქართველოსა და ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციას შორის ორგანიზაციის (OPCW) პრივილეგიებისა და იმუნიტეტების შესახებ" შეთანხმებასთან დაკავშირებით

ქიმიური იარაღის კონვენცია ხელმოსაწერად გაიხსნა 1993 წელს, ხოლო კონვენციის საიმპლემენტაციო ორგანო - ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაცია (OPCW) შეიქმნა 1997 წელს (შტაბ-ბინა ქ. ჰააგა, ნიდერლანდების სამეფო).

შედარებით ხანმოკლე ისტორიის მიუხედავად, ორგანიზაცია მნიშვნელოვან როლს თამაშობს განიარაღებისა და შეიარაღების კონტროლის სფეროში.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიოში მშვიდობისა და უსაფრთხოების განმტკიცების საქმეში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის ხსენებულ ორგანიზაციას 2013 წელს მიენიჭა ნობელის პრემია მშვიდობის დარგში.

ამასთან, ხაზგასასმელია OPCW-ს განსაკუთრებული დამსახურება სირიის ქიმიური იარაღის პრობლემატიკის გადაწყვეტის საქმეში. კერძოდ, გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია N2118 და OPCW-ს აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილება სირიას აკისრებს ვალდებულებას გაანადგუროს მის ხელთ არსებული ქიმიური იარაღის მთელი არსენალი. აღნიშნული ვალდებულების შესრულებაზე მეთვალყურეობას ახორციელებს OPCW.

აღსანიშნავია ქიმიური იარაღის კონვენციის უნივერსალიზაციის ძალიან მაღალი ხარისხი - 2014 წლისთვის 190 სახელმწიფო არის მიერთებული აღნიშნულ კონვენციას, ხოლო დანარჩენი ექვსი სახელმწიფოდან სამი მიმდინარე წელს გეგმავს მიერთებას. ამასთან OPCW-ს წარმატების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი არის ორგანიზაციის მძლავრი სავერიფიკაციო რეჟიმი.

საქართველო ქიმიური იარაღის კონვენციას მიურთდა 1993 წელს, ხოლო რატიფიცირება მოახდინა 1995 წელს. ხსენებული კონვენციის იმპლემენტაციაზე პასუხისმგებელ ორგანოს წარმოადგენს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო.

მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე არ არსებობს ქიმიური იარაღის მარაგები, OPCW-სა და ქართულ მხარეს მჭიდრო ურთიერთობა აკავშირებთ. გასულ წლებში ორგანიზაციის სავერიფიკაციო მისიებმა განახორციელეს ინსპექციები საქართველოს ქიმიურ საწარმოებში. მომავალში საქართველოში ქიმიური მრეწველობის განვითარებასთან ერთად თანამშრომლობა საქართველოსა და OPCW-ს შორის უფრო ინტენსიური გახდება.

OPCW-ს ფინანსური დახმარებით საქართველოს შესაბამისი უწყებების წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ორგანიზაციის მიერ ორგანიზებულ ტრეინინგებსა და შეხვედრებში.

OPCW ქიმიური ინციდენტის შემთხვევაში ორგანიზაციის წევრ-სახელმწიფოებს ეხმარება როგორც სათანადო აღჭურვილობით ასევე ექსპერტული თვალსაზრისითაც.

2014 წლის ივნისში საქართველოს პრემიერ მინისტრის მოწვევით საქართველოში იმყოფებოდა OPCW-ს გენერალური დირექტორი ა. უზუმჩუ.

OPCW-ს გენერალურმა დირექტორმა მონაწილეობა მიიღო ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოლოგიული და ბირთვული საფრთხეების მართვის საკითხებზე თბილისში გამართულ მსოფლიო კონგრესში (ხსენებული ღონისძიების ერთ-ერთი თანადამფინანსებელი იყო ქიაო). ა. უზუმჩუმ ვიზიტის მიმდინარეობისას ასევ გამართა მაღალი დონის შეხვედრები საქართველოს საგარეო, თავდაცვის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროებში.

საქართველო, როგორც ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციის წევრი სახელმწიფო, ქიმიური იარაღის აკრძალვის კონვენციის მე-8 მუხლის 50-ე პარაგრაფის თანახმად ვალდებულია, ხსენებულ ორგანიზაციასთან გააფორმოს ხელშეკრულება პრივილეგიებისა და იმუნიტეტების შესახებ. კონვენციის მე-8 მუხლის 48-ე პუნქტი ითვალისწინებს, რომ ორგანიზაციამ (OPCW) წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე და იურისდიქციის ან კონტროლის ქვეშ მყოფ ნებისმიერ სხვა ადგილზე უნდა ისარგებლოს ისეთი სამართლებრივი უფლებაუნარიანობითა და ისეთი პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით, რომლებიც აუცილებელია მისი ფუნქციების განხორციელებისათვის. ამას გარდა, ორგანიზაციის საქმიანობაში საქართველოს აქტიური ჩართულობის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია OPCW-თან დროულად დაიდოს „საქართველოსა და ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციას შორის ორგანიზაციის (OPCW) პრივილეგიებისა და იმუნიტეტების შესახებ" შეთანხმება.